

სააქციო საზოგადოება „თელასი“

დამტკიცებულია

სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით

ოქმი #100, 26.06.2013

სს „თელასის“ კორპორაციული მართვის კოდექსი

ქ. თბილისი

2013 წ.

შინაარსი

1. შესავალი	3
2. ინფორმაცია საზოგადოების შესახებ	3
3. საზოგადოებაში კორპორაციული მართვის პრინციპები და სტრუქტურა	3
3.1. განმარტება და პრინციპები	3
3.2. შიდა დოკუმენტები	4
3.3. კორპორაციული მართვის ზოგადი სტრუქტურა	4
4. კორპორაციული მართვის საზოგადოებაში განხორციელებული პრაქტიკა ...	4
4.1. სამეთვალყურეო საბჭო	4
4.2. გენერალური დირექტორი - ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანო.....	6
4.3. სამეთვალყურეო საბჭოს და აღმასრულებელი ორგანოების ურთიერთქმედება	7
5. საზოგადოების აქციონერები	7
5.1. აქციონერთა უფლებები და აქციონერთა უფლებების დაცვა	7
5.2. აქციონერთა საერთო კრება	8
6. ინფორმაციის გახსნა და გამჭვირვალობა	8
6.1. ინფორმაციის გახსნის პოლიტიკა და პრაქტიკა	8
6.2. ფინანსური ანგარიშგება	9
6.3. ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის კონტროლი	9
6.4. საკუთრების სტრუქტურა	10
7. დასკვნითი დებულებები	10

1. შესავალი

კორპორაციული მართვის წინამდებარე კოდექსის (შემდგომ - კოდექსი) მიზნებია სააქციო საზოგადოება „თელასის“ (შემდგომ - საზოგადოება) კორპორაციული მართვის სრულყოფა და სისტემატიზაცია, საზოგადოების მართვის მეტი გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და საზოგადოების უცვლელი მზადყოფნის დადასტურება, შეესაბამებოდეს სათანადო კორპორაციული მართვის სტანდარტებს. კერძოდ:

- საზოგადოების მართვა უნდა ხორციელდებოდეს პასუხისმგებლობის და ანგარიშვალდებულების სათანადო დონით და ისეთნაირად, რომ მაქსიმუმამდე გაიზარდოს სააქციო ღირებულება;
- სამეთვალყურეო საბჭო და შემსრულებელი ორგანოები უნდა მუშაობდნენ ეფექტურად, საზოგადოების და მისი აქციონერების (მათ შორის, მინორიტარული) ინტერესებში და შექმნან პირობები სააქციო ღირებულების სტაბილური ზრდისთვის;
- უზრუნველყოფილი უნდა იყოს ინფორმაციის სათანადო გახსნა, გამჭვირვალობა და აგრეთვე რისკების მართვის და შიდა კონტროლის სისტემების ეფექტური მუშაობა.

წინამდებარე კოდექსის, საზოგადოების წესდების და სხვა შიდა დოკუმენტების დებულებების მიღებით, პერიოდული დახვეწით და განუხრელი შესრულებით, საზოგადოება ადასტურებს თავის განზრახვას, ხელი შეუწყოს სათანადო კორპორაციული მართვის პრაქტიკის განვითარებას და დახვეწას.

აქციონერების, მუშაკების, ინვესტორების და საზოგადოებრიობის მხრიდან ნდობის შემდგომი გაძლიერების მიზნით საზოგადოება, წინამდებარე კოდექსის შემუშავებისას არ შემოიფარგლა საქართველოს კანონმდებლობის ნორმებით და ჩართო კოდექსში კორპორაციული მართვის საზოგადოდ მიღებულ საერთაშორისო¹ სტანდარტებზე დაფუძნებული დამატებითი დებულებები.

საზოგადოება იღებს წინამდებარე კოდექსით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ვალდებულებას იღებს შეასრულოს მასში დადგენილი ნორმები და პრინციპები.

2. ინფორმაცია საზოგადოების შესახებ

სააქციო საზოგადოება „თელასი“ (სს „თელასი“) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 14 აპრილის #228 დადგენილების „სახელმწიფო საწარმოების და სახელმწიფო საწარმოების გაერთიანებების სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნის საორგანიზაციო ღონისძიებების შესახებ“ და ქ. თბილისის საქ. ქონების მართვის დეპარტამენტის 1998 წლის 6 მაისის #1-3/188 ბრძანებულების შესაბამისად.

საქართველოს ეკონომიკაში საზოგადოების როლს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. საზოგადოების საქმიანობა უზრუნველყოფს ქ. თბილისის მოსახლეობის ცხოველქმედებას და საქართველოს ეკონომიკის განვითარებას.

საზოგადოების საქმიანობა დაკავშირებულია პასუხისმგებლობასთან, როგორც

¹ ეთგო-ს (ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია) კორპორაციული მართვის პრინციპები.

აქციონერების, ასევე სახელმწიფოს, საზოგადოების თანამშრომლებს, მიმწოდებლების, მომხმარებლებისა და მთლიანად საზოგადოების წინაშე.

ვაცნობიერებთ რა ამ პასუხისმგებლობას და ვაღიარებთ რა კორპორაციული მართვის მაღალი დონის მნიშვნელობას საზოგადოების ბიზნესის წარმატებული წარმართვისთვის და საზოგადოების საქმიანობაში დაინტერესებულ ყველა პირს შორის ურთიერთგაგების მისაღწევად, საზოგადოება იღებს ვალდებულებას, დაიცვას თავის საქმიანობაში აქ მოყვანილი პრინციპები და მიიღოს ყველა გონივრული ძალისხმევა საზოგადოების მიერ თავის ყოველდღიურ საქმიანობაში მათ დასაცავად.

3. საზოგადოებაში კორპორაციული მართვის პრინციპები და სტრუქტურა

3.1. განმარტება და პრინციპები

კორპორაციული მართვა საზოგადოების მიერ გაგებულია, როგორც პროცესების ერთიანობა, რომლებიც უზრუნველყოფს მისი საქმიანობის მართვას და კონტროლს და მოიცავს აქციონერთა, სამეთვალყურეო საბჭოს და საზოგადოების აღმასრულებელ ორგანოებს შორის ურთიერთობას აქციონერთა ინტერესებში. საზოგადოება განიხილავს კორპორაციულ მართვას, როგორც საზოგადოების საქმიანობის ეფექტურობის გაზრდის, მისი რეპუტაციის გაძლიერების და მის მიერ კაპიტალის მოზიდვის ხარჯების შემცირების საშუალებას.

წინამდებარე კოდექსი, რომლის მიხედვითაც, ხორციელდება კორპორაციული მართვა საზოგადოებაში, ეფუძნება საქართველოს კანონმდებლობას და კორპორაციული მართვის საერთაშორისო პრაქტიკაში აღიარებულ პრინციპებს, როგორცაა კორპორაციული მართვის ეთგო-ს (ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია) პრინციპები.

საზოგადოებაში კორპორაციული მართვა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- **ანგარიშვალდებულება.** კოდექსი ითვალისწინებს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშვალდებულებას ყველა აქციონერის მიმართ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და წარმოადგენს სახელმძღვანელოს სამეთვალყურეო საბჭოსთვის სტრატეგიის შემუშავებისას და საზოგადოების აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელობისა და საქმიანობის კონტროლის განხორციელებისას.
- **სამართლიანობა.** საზოგადოება იღებს ვალდებულებას დაიცვას აქციონერთა უფლებები და უზრუნველყოს თანასწორი დამოკიდებულება ყველა აქციონერის მიმართ. სამეთვალყურეო საბჭო ყველა აქციონერს აძლევს შესაძლებლობას მიიღონ ეფექტური დაცვა მათი უფლებების დარღვევის შემთხვევაში.
- **გამჭვირვალობა.** საზოგადოება უზრუნველყოფს სარწმუნო ინფორმაციის დროულ გამჟღავნებას ყველა არსებითი ფაქტის შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია მის საქმიანობასთან, მათ შორის, მისი ფინანსური მდგომარეობის, სოციალური და ეკოლოგიური მაჩვენებლების, საქმიანობის შედეგების, საზოგადოების საკუთრების სტრუქტურის და მართვის შესახებ, აგრეთვე, ასეთი ინფორმაციის თავისუფალ წვდომას ყველა დაინტერესებული პირისთვის.
- **პასუხისმგებლობა.** საზოგადოება აღიარებს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა დაინტერესებული პირის უფლებებს და ცდილობს ასეთ პირებთან თანამშრომლობას თავისი განვითარების და ფინანსური მდგომარეობის

უზრუნველყოფის მიზნით.

3.2. შიდა დოკუმენტები.

წინამდებარე კოდექსი წარმოადგენს პრინციპების ნაკრებს. კორპორაციული მართვის კონკრეტული სტრუქტურები, პროცედურები და პრაქტიკა რეგულირდება საზოგადოების წესდებით და შიდა დოკუმენტებით, მათ შორის:

- საზოგადოების წესდებით;
- აქციონერთა საერთო კრების მომზადების და ჩატარების წესის შესახებ დებულებით;
- სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების მოწვევისა და ჩატარების წესის შესახებ დებულებით;

საზოგადოების ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ყველა ზემოთ ჩამოთვლილ დოკუმენტთან გაცნობა შეიძლება ინტერნეტში საზოგადოების საიტზე, ელექტრონულ მისამართზე <http://www.telasi.ge>

3.3. კორპორაციული მართვის ზოგადი სტრუქტურა

საზოგადოების მართვის ორგანოების სისტემა მოიცავს შემდეგს:

- აქციონერთა საერთო კრება - საზოგადოების მართვის უმაღლესი ორგანო, რომლის მეშვეობითაც აქციონერები ახორციელებენ თავის უფლებას მიიღონ მონაწილეობა საზოგადოების მართვაში;
- სამეთვალყურეო საბჭო - მართვის ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია საზოგადოების სტრატეგიის შემუშავებაზე, მისი საქმიანობის ზოგად მართვაზე და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის კონტროლზე. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს ასევე შეუძლია შექმნას სამეთვალყურეო საბჭოსთან არსებული კომიტეტები.
- სამეთვალყურეო საბჭოსთან არსებული კომიტეტები - საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს საკონსულტაციო-სათათბირო ორგანოები, რომლებიც იქმნება სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციისთვის მიკუთვნებული უმნიშვნელოვანესი საკითხების წინასწარი განხილვისთვის.
- კომპანიის გენერალური დირექტორი - მართვის ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანო, რომელიც ხელმძღვანელობს საზოგადოების მიმდინარე საქმიანობას და ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭოს და საზოგადოების აქციონერთა მიერ განსაზღვრულ სტრატეგიას.

4. კორპორაციული მართვის საზოგადოებაში განხორციელებული პრაქტიკა

საზოგადოება მიიჩნევს პროფესიული სამეთვალყურეო საბჭოს არსებობას ეფექტური კორპორაციული მართვის მნიშვნელოვან ელემენტად. სამეთვალყურეო საბჭო გავლენას ახდენს საზოგადოების მუშაობის შედეგებზე, ახორციელებს რა საერთო სტრატეგიულ ხელმძღვანელობასა და კონტროლს აღმასრულებელ ორგანოთა მუშაობაზე საზოგადოების და მისი აქციონერთა ინტერესებში. საზოგადოების მიმდინარე საქმიანობის ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელი აღმასრულებელი ორგანოები ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მართვის პროცესში. ეფექტური ურთიერთქმედება ამ ორ ორგანოს შორის და მათი უფლებამოსილებების მკაფიო გამიჯვნა წარმოადგენს ერთ-ერთ

მნიშვნელოვან ფაქტორს კორპორაციული მართვის სათანადო პრაქტიკის უზრუნველყოფაში.

4.1. სამეთვალყურეო საბჭო.

4.1.1. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევნები, უფლებამოსილების ვადა და შეწყვეტა. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ირჩევენ კომპანიის აქციონერთა საერთო კრებაზე საზოგადოების აქციონერთა შემდეგ ყოველწლიურ კრებამდე ვადით.

კომპანია არ მიიჩნევს, რომ შეზღუდვების შემოტანა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენჯერ შეიძლება სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა, უპასუხებს საზოგადოების ან მისი აქციონერების ინტერესებს. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები, რომლებიც კარგად იცნობენ საზოგადოების საქმიანობას, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სათანადო მართვის უზრუნველყოფაში.

სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილებები რეგულირდება საზოგადოების წესდებით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამეთვალყურეო საბჭოს რაოდენობრივი შემადგენლობა განსაზღვრულია საზოგადოების წესდებაში.

4.1.2. დამოუკიდებლობა. კანონი კრძალავს ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობების შეთავსებას. საზოგადოება მიიჩნევს, რომ სამეთვალყურეო საბჭოს უნდა ხელმძღვანელობდეს სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მიერ მათი რიცხვიდან არჩეული ფიზიკური პირი, რომელიც ერთდროულად არ წარმოადგენს ერთპიროვნულ აღმასრულებელ ორგანოს და (ან) საზოგადოების კოლეგიური აღმასრულებელი ორგანოს წევრს, ვინაიდან ეს საშუალებას აძლევს სამეთვალყურეო საბჭოს უფრო ეფექტურად შეასრულოს თავისი ფუნქციები.

სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა უზრუნველყოფს მოვალეობების სათანადო შესრულებას კონტროლის განხორციელებასა და საზოგადოების სტრატეგიის და განვითარების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრასთან დაკავშირებით.

- საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება 6 (ექვსი) ადამიანის რაოდენობით.
- საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ირჩევენ საზოგადოების აქციონერთა საერთო კრებაზე. სამეთვალყურეო საბჭოს ყველა წევრს ირჩევენ საზოგადოების აქციონერთა საერთო კრებაზე საზოგადოების აქციონერთა შემდეგ ყოველწლიურ საერთო კრებამდე ვადით.
- მხოლოდ ფიზიკური პირი შეიძლება იყოს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.
- საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში არჩეული პირები კომპანია, შეიძლება ხელახლა აირჩიონ შეუზღუდავი ჯერადობით.
- საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით შესაძლებელია სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ვადამდე გადარჩევა.
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრი შეიძლება კურირებდეს საზოგადოების საქმიანობის რომელიმე ერთ სფეროს. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს, როგორც აქციონერთა

წარმომადგენლებს, უნდა ჰქონდეთ შესაბამისი პროფესიული გამოცდილება.

- სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ეკრძალებათ ფლობა, მართვა, ინვესტიციების განხორციელება ან რაიმე ინტერესის ქონა საწარმოში ან ფიზიკური ან იურიდიული პირის მიმართ, რომელიც ეწინააღმდეგება ან კონკურენციას უწევს საზოგადოების პირდაპირ ან არაპირდაპირ ინტერესებს, ან ეწინააღმდეგება წესდების 3-ე მუხლს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აქციონერთა საერთო კრება წერილობით გააუქმებს ამ აკრძალვას.

4.1.3. სამეთვალყურეო საბჭოს სტრუქტურა და მისი კომიტეტები. საზოგადოებაში შექმნილია სამეთვალყურეო საბჭოსთან არსებული აუდიტის კომიტეტი.

კომიტეტის საქმიანობა რეგულირდება საზოგადოების ლოკალური ნორმატიული დოკუმენტით, რომელიც შეიცავს კომიტეტის შემადგენლობის, კომპეტენციის, მუშაობის წესის და, აგრეთვე მათი წევრების უფლებებისა და მოვალეობების შესახებ დებულებას: დებულება აუდიტის კომიტეტის შესახებ.

სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტები იქმნება სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას მიკუთვნებული უმნიშვნელოვანესი საკითხების წინასწარ განსახილველად.

4.1.4. მუშაობის წესი. სამეთვალყურეო საბჭო ატარებს სხდომებს მისი უფლებამოსილების ვადის დასაწყისში შემუშავებული გრაფიკის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს მისი მოვალეობების სათანადო შესრულებას. სამეთვალყურეო საბჭო ატარებს სხდომებს არა უიშვიათეს კვარტალში ერთხელ. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ცდილობს უზრუნველყოს სამეთვალყურეო საბჭოს არანაკლებ 1 დასწრებული სხდომის მოწვევა კვარტალში. საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება ჩატარდეს სამეთვალყურეო საბჭოს რიგგარეშე სხდომები.

სამეთვალყურეო საბჭოს მუშაობის წესი რეგულირდება სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების მოწვევისა და ჩატარების წესის შესახებ დებულებით. სამეთვალყურეო საბჭოს მდივანი უზრუნველყოფს ყველა წევრის მიერ მოკლე, მაგრამ ამომწურავი ინფორმაციის და, ერთდროულად სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის შესახებ შეტყობინების დროულად მიღებას, მაგრამ, არა უგვიანეს 8 (რვა) სამუშაო დღისა თითოეული სხდომის ჩატარების თარიღამდე.

სამეთვალყურეო საბჭო აწარმოებს თავისი სხდომების ოქმებს. ოქმს ხელს აწერენ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.

4.1.5. ანაზღაურება. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ანაზღაურება შეესაბამება საბაზრო პირობებს და ისეა დადგენილი, რომ უზრუნველყოფილი იყოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მოზიდვა და მონაწილეობა საზოგადოების მუშაობაში, მათ მოტივირება პატიოსანი და ეფექტური საქმიანობისთვის.

საზოგადოება საჯაროდ ხსნის სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ანაზღაურების შესახებ ინფორმაციას. საზოგადოება არ აძლევს სესხებს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს.

4.1.6. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მოვალეობები. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები მოქმედებენ კეთილსინდისიერად და სათანადო გულმოდგინებით საზოგადოების და მისი ყველა აქციონერის ინტერესებში. თითოეული წევრი ცდილობს მონაწილეობა მიიღოს სამეთვალყურეო საბჭოს ყველა სხდომაში.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები აცნობიერებენ თავიანთ პასუხისმგებლობას აქციონერების წინაშე და მიიჩნევენ, რომ მათი მთავარი მიზანია მოვალეობების

კეთილსინდისიერი და კომპეტენტური შესრულება საზოგადოების მართვასთან დაკავშირებით, რაც უზრუნველყოფს მისი აქციების ღირებულების შენარჩუნებასა და ზრდას და, აგრეთვე, აქციონერთა უფლებების დაცვას და აქციონერთა მიერ მათი რეალიზაციის შესაძლებლობას.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ცდილობენ აწარმოონ მუდმივი დიალოგი აქციონერებთან.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები უზრუნველყოფენ საზოგადოების განვითარების სტრატეგიის ფორმირებას და რეალიზაციას.

სამეთვალყურეო საბჭო ქმნის და ინარჩუნებს საზოგადოების საქმიანობის კონტროლის აუცილებელ მექანიზმებს, მათ შორის, მისი შედეგების მონიტორინგსა და შეფასებას.

სამეთვალყურეო საბჭო ქმნის საზოგადოების გენერალური დირექტორის დანიშვნის და უფლებამოსილების შეწყვეტის კრიტერიუმებისა და პროცედურების მკაფიო და გამჭვირვალე სისტემას, მასთან შრომითი ხელშეკრულების დადებისა და შეწყვეტის და, აგრეთვე, ანაზღაურების ეფექტურ სისტემას.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არ გათქვამენ და არ გამოიყენებენ პირადი მიზნებისთვის კონფიდენციალურ ინფორმაციას საზოგადოების შესახებ.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ვალდებული არიან თავი შეიკავონ იმ ქმედებებისაგან, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს კონფლიქტის წარმოშობა მათი ინტერესებსა და საზოგადოების ინტერესებს შორის. ასეთი კონფლიქტის წარმოშობის შემთხვევაში, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ვალდებულია შეატყობინოს ამის შესახებ სამეთვალყურეო საბჭოს სხვა წევრებს და, აგრეთვე, თავი შეიკავოს შესაბამის საკითხებზე კენჭისყრისგან.

4.2. გენერალური დირექტორი - ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანო

საზოგადოება აცნობიერებს, რომ საზოგადოების მიმდინარე საქმიანობის ხელმძღვანელობისთვის აუცილებელია ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანო გენერალური დირექტორის სახით.

4.2.1. უფლებამოსილება. გენერალური დირექტორი ახორციელებს საზოგადოების მიმდინარე საქმიანობის ხელმძღვანელობას, საზოგადოების ამოცანების შესრულების და სტრატეგიის რეალიზაციის მიზნით.

4.2.2. გენერალური დირექტორის არჩევა, ვადები და უფლებამოსილების შეწყვეტა. გენერალურ დირექტორს ირჩევს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო, სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაში მონაწილე წევრების ხმათა უმრავლესობით. სამეთვალყურეო საბჭოს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მიიღოს გადაწყვეტილება საზოგადოების გენერალური დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტის და ახალი აღმასრულებელი ორგანოს ფორმირების შესახებ. გენერალური დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობითა და მის მიერ საზოგადოებასთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით დადგენილი საფუძვლებით.

4.2.3. გენერალური დირექტორის მუშაობა. საზოგადოების გენერალური დირექტორი მინდობილობის გარეშე მოქმედებს საზოგადოების სახელით, მათ შორის, მოქმედი კანონმდებლობით, წინამდებარე წესდებით და საზოგადოების სამეთვალყურეო

საბჭოს გადაწყვეტილებებით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით, უზრუნველყოფს საზოგადოების საქმიანობის შესრულებას, რაც აუცილებელია მისი ამოცანების გადასაჭრელად. საზოგადოების გენერალური დირექტორის კომპეტენციას მიეკუთვნება საზოგადოების მიმდინარე საქმიანობის ხელმძღვანელობის ყველა საკითხი, გარდა აქციონერთა საერთო კრების, საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებისა.

4.2.4. შრომის ანაზღაურება და შეფასება. გენერალური დირექტორის ანაზღაურების სისტემა განისაზღვრება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, საზოგადოებასთან დადებული შრომის ხელშეკრულების საფუძველზე. ანაზღაურება შედგება ფიქსირებული და ცვლადი ნაწილებისგან, ამასთან, ეს უკანასკნელი დამოკიდებული აღმასრულებელი ორგანოების მუშაობის მაჩვენებლების გარკვეული სისტემის (შემდგომში - მაჩვენებლები) შესრულებაზე და უკავშირდება მათ პირად წვლილს საზოგადოების გრძელვადიან განვითარებაში მისი აქციონერების ინტერესებიდან გამომდინარე.

მაჩვენებლები განისაზღვრება, როგორც ფინანსური და არა ფინანსური მაჩვენებლების სისტემა, რომლებიც გავლენას ახდენს შედეგების რაოდენობრივ ან ხარისხობრივ ცვლილებებზე საზოგადოების სტრატეგიულ მიზანთან მიმართებაში.

აღმასრულებელი ორგანოებისთვის მაჩვენებლების განსაზღვრისას საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო კონცენტრირებულია მათგან მხოლოდ ყველაზე არსებითებზე, ყველა მეორეხარისხოვანის მოკვეთით, მათი რაოდენობის შეკვეცით სწორედ „ძირითადამდე“. მაჩვენებლების რაოდენობა შეზღუდულია (მათი შესრულების რეალობისა და მონიტორინგის ხარისხისთვის).

მაჩვენებლების სისტემის ამოცანა მდგომარეობს საზოგადოების სტრატეგიის გადაყვანაში მისი საქმიანობის მაჩვენებლების კომპლექსურ ნაკრებში, რომელიც განსაზღვრავს გაზომვის და მართვის სისტემის ძირითად პარამეტრებს. მაჩვენებლების ნაკრები ქმნის საზოგადოების სტრატეგიის ფორმირების საფუძველს და მოიცავს რაოდენობრივ მახასიათებლებს აღმასრულებელი ორგანოების ინფორმირებისთვის წარმატების ძირითადი ფაქტორების შესახებ აწმყოსა და მომავალში. სტრატეგიის ფორმულირებისას, საზოგადოება ისახავს მიზანს და ქმნის პირობებს მისი რეალიზაციისთვის.

4.2.5. აღმასრულებელი ორგანოს მოვალეობები. გენერალური დირექტორი მოქმედებს კეთილსინდისიერად და სათანადო გულმოდგინებით საზოგადოების და ყველა მისი აქციონერის ინტერესებიდან გამომდინარე.

გენერალური დირექტორი კისრულობს ვალდებულებას თავი შეიკავოს იმ ქმედებებისაგან, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს კონფლიქტის წარმოშობა მის ინტერესებისა და კომპანიის ინტერესებს შორის. ამგვარი კონფლიქტის წარმოშობის შემთხვევაში გენერალური დირექტორი კისრულობს ვალდებულებას შეატყობინოს ამის შესახებ სამეთვალყურეო საბჭოს და, აგრეთვე, თავი შეიკავოს შესაბამისი საკითხების განხილვისა და კენჭისყრისგან.

საზოგადოება აცნობიერებს, რომ გენერალური დირექტორის გამოცდილება, საზოგადოებრივი კავშირები, ცოდნა და კვალიფიკაცია, მათ შორის, საზოგადოებაში მუშაობის დროს შეძენილი, ხსნის შესაძლებლობებს კომერციული საქმიანობის (როგორც კერძო, ისე კოლექტიური - წილების, აქციების ფლობის მეშვეობით) განსახორციელებლად, რომელიც არ არის დაკავშირებული საზოგადოების ინტერესებთან.

ამასთან, გენერალური დირექტორი იძლევა გარანტიას, რომ ამგვარი საქმიანობის განხორციელება:

- რაიმენაირად, არ უშლის ხელს საზოგადოების გენერალური დირექტორის ფუნქციების შესრულებას;
- არ არის დაკავშირებული საზოგადოების მატერიალური და ინტელექტუალური რესურსების გამოყენებასთან;
- არ მიაყენებს საზოგადოებას მატერიალურ ზარალს;
- არ მიაყენებს ზარალს საზოგადოების საქმიან რეპუტაციას;
- არ უქმნის კონკურენციას საზოგადოებას.

ზემოთ აღნიშნული პირობებიდან ერთის მაინც შეუსრულებლობის ან შეუსრულებლობისთვის წინაპირობების შექმნის შემთხვევაში, გენერალური დირექტორი იღებს ვალდებულებას, შეწყვიტოს ასეთ შეუსრულებლობასთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმიანობის განხორციელება.

საზოგადოებისთვის შესაძლო უარყოფითი შედეგების თავიდან ასაცილებლად, საზოგადოების გენერალური დირექტორი უხსნის საზოგადოებას ინფორმაციას მის მიერ კომერციული საქმიანობის განხორციელების შესახებ, რომელიც არ არის დაკავშირებული საზოგადოების ინტერესებთან, საზოგადოების ლოკალური ნორმატიული დოკუმენტებით დადგენილი წესის შესაბამისად.

4.3. სამეთვალყურეო საბჭოს და აღმასრულებელი ორგანოების ურთიერთქმედება.

ეფექტური კორპორაციული მართვა მოითხოვს ღია დიალოგს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს და აღმასრულებელ ორგანოებს შორის. ამ მიზნით, გენერალურ დირექტორს წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს კვარტალურ ანგარიშებს საზოგადოების საქმიანობის შესახებ.

5. საზოგადოების აქციონერები

5.1. აქციონერთა უფლებები და აქციონერთა უფლებების დაცვა

საზოგადოების აქციონერებს აქვთ საზოგადოების მიმართ უფლებათა ერთობლიობა, რომელთა შესრულება და დაცვა უნდა უზრუნველყონ სამეთვალყურეო საბჭომ და საზოგადოების გენერალურმა დირექტორმა.

საზოგადოების აქციონერთა რეესტრს აწარმოებს დამოუკიდებელ რეგისტრატორი. დამოუკიდებელი რეგისტრატორის არჩევა და დანიშვნა, რომელსაც აქვს ყველა აუცილებელი ტექნიკური საშუალება და უზადო რეპუტაცია, საშუალებას აძლევს საზოგადოებას, უზრუნველყოს საზოგადოების აქციებზე და სხვა ფასიან ქაღალდებზე საკუთრების უფლების საიმედო და ეფექტიანი რეგისტრაცია.

აქციონერებს უფლება აქვთ რეგულარული და დროულად მიიღონ ინფორმაცია საზოგადოების საქმიანობის შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისი მოცულობითა და წესით.

მითითებული უფლების სათანადო შესრულების და დაცვის მიზნით, საზოგადოება იძლევა ინფორმაციის გახსნის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესრულების

გარანტიას.

საზოგადოება ყოველკვარტალურად ხსნის ფინანსური ანგარიშგებას ფასს და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

ამა თუ იმ გზით გახსნილი მთელი ინფორმაცია, სავალდებულო წესით განთავსდება საზოგადოების საიტზე საინფორმაციო ქსელში ინტერნეტი.

ხმის უფლების მქონე აქციითა მფლობელ აქციონერებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ აქციონერთა საერთო კრებაში ხმის უფლებით მისი კომპეტენციის ყველა საკითხზე.

მითითებული უფლების სათანადო შესრულების და დაცვის მიზნით, საზოგადოება ვალდებულებას იღებს განახორციელოს აქციონერთა საერთო კრების ორგანიზება ისეთნაირად, რომ აქციონერთა მონაწილეობა არ იყოს დაკავშირებული მათთვის დიდ მატერიალურ და დროით დანახარჯებთან, ყველა აქციონერის მიმართ თანაბარი მოპყრობის უზრუნველყოფით.

საზოგადოება ვალდებულებას იღებს, მიაწოდოს აქციონერებს ინფორმაცია აქციონერთა საერთო კრების დღის წესრიგის შესახებ ისეთი მოცულობით და ვადებში, რომლებიც საშუალებას მისცემს აქციონერებს, მიიღონ დასაბუთებული გადაწყვეტილებები.

კანონით და საზოგადოების წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამეთვალყურეო საბჭო ამზადებს აქციონერთათვის ობიექტურ დასაბუთებულ რეკომენდაციებს.

აქციონერთა საერთო კრებასთან დაკავშირებული მთელი ინფორმაცია სავალდებულო წესით იხსნება საზოგადოების საიტზე საინფორმაციო ქსელში ინტერნეტი.

აქციონერებს უფლება აქვთ მიიღონ საზოგადოების წმინდა მოგების ნაწილი დივიდენდების სახით.

მითითებული უფლების სათანადო შესრულების და დაცვის მიზნით, საზოგადოება ვალდებულებას იღებს გადაიხადოს განცხადებული დივიდენდები აქციონერთა საერთო კრების მიერ დადგენილ ვადებში.

აქციონერთა უფლებები რეგულირდება საზოგადოების წესდების და შიდა დოკუმენტების დებულებებით.

5.2. აქციონერთა საერთო კრება

საზოგადოებაში მიღებულია დებულება აქციონერთა საერთო კრების შესახებ, რომელშიც დაწვრილებითაა აღწერილი აქციონერთა საერთო კრების მომზადების, ჩატარების და გადაწყვეტილებების მიღების წესი.

5.2.1. კრებისთვის მომზადება. თითოეულ აქციონერს აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა აქციონერთა საერთო კრებაში, კენჭი უყაროს დღის წესრიგის საკითხებს, წინასწარ მიიღოს შეტყობინება ასეთი კრების შესახებ და მისი დღის წესრიგი, ასევე ასევე, სარწმუნო, ობიექტური და დროული ინფორმაცია, რომელიც საკმარისია გადაწყვეტილებების მისაღების დღის წესრიგის საკითხებზე. ამ პროცესის უზრუნველსაყოფაზე პასუხს აგებენ საზოგადოების აღმასრულებელი ორგანოები.

საზოგადოებაში გათვალისწინებულია საერთო კრების დღის წესრიგში წინადადებების შეტანის სამართლიანი და ეფექტური პროცედურა, სამეთვალყურეო საბჭოს

წევრობის კანდიდატების წარდგენის წინადადებების ჩათვლით. საერთო კრების დღის წესრიგი არ შეიძლება შეიცვალოს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ.

5.2.2. კრების ჩატარება. საზოგადოება იღებს ყველა აუცილებელ ზომას, რათა უზრუნველყოს აქციონერთა მონაწილეობა აქციონერთა საერთო კრებაში და კენჭისყრაში დღის წესრიგის საკითხებზე.

საერთო კრების ჩატარების ადგილი ხელმისაწვდომია აქციონერებისთვის. რეგისტრაციის წესი მოსახერხებელია მონაწილეთათვის და უზრუნველყოფს კრების ჩატარების ადგილის სწრაფ და შეუფერხებელ წვდომას.

საზოგადოება, შეძლებისდაგვარად, უზრუნველყოფს აქციონერთა საერთო კრებაზე სამეთვალყურეო საბჭოს, აღმასრულებელი ორგანოების წევრების, საზოგადოების აუდიტორის დასწრებას და მათ უფლებამოსილებას ანიჭებს პასუხი გასცეს აქციონერთა შეკითხვებს. აქციონერებს უფლება აქვთ გამოვიდნენ დღის წესრიგის საკითხებთან დაკავშირებით, შეიტანონ შესაბამისი წინადადებები და დასვან შეკითხვები. საერთო კრების თავმჯდომარე უზრუნველყოფს მის ეფექტურ მუშაობას.

საერთო კრებაზე ხმების დათვლის წესი გამორიცხავს კენჭისყრის შედეგებით მანიპულირების შესაძლებლობას. დამთვლელი კომისიის ფუნქციებს ახორციელებს საზოგადოების დამოუკიდებელი რეგისტრატორი.

5.2.3. კრების შედეგები. კენჭისყრის შედეგები და სხვა აუცილებელი მასალები მიეწოდებათ აქციონერებს საერთო კრების ჩატარების დღეს ან მისი ჩატარების შემდეგ, ასევე დროულად ქვეყნდება საზოგადოების საიტზე და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში.

6. ინფორმაციის გახსნა და გამჭვირვალობა

6.1. ინფორმაციის გახსნის პოლიტიკა და პრაქტიკა

საზოგადოების მიერ განხორციელებული საზოგადოების შესახებ ინფორმაციის გახსნის პოლიტიკის ძირითადი მიზანია უზრუნველყოს საზოგადოების მიმართ მაქსიმალური ნდობა აქციონერების, პოტენციური ინვესტორების, კონტრაგენტების და სხვა დაინტერესებული მხარეების მხრიდან მითითებული პირებისთვის საზოგადოების, მისი საქმიანობის და ფასიანი ქაღალდების შესახებ იმ მოცულობით, რომელიც საკმარისია აღნიშნული პირების მიერ დასაბუთებული და შეწონილი გადაწყვეტილებების მისაღებად საზოგადოებასა და მის ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებით.

საკუთარი თავის შესახებ ინფორმაციის გახსნისას, საზოგადოება არ შემოიფარგლება ინფორმაციით, რომლის გახსნა გათვალისწინებულია საქართველოს ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებით და დამატებით ხსნის სხვა ინფორმაციას, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების მაღალი ხარისხის გამჭვირვალობას და ხელს უწყობს ინფორმაციის გახსნის საზოგადოების მიერ განხორციელებულ პოლიტიკას.

საზოგადოების მიერ გასახსნელი ინფორმაციის ჩამონათვალი, ინფორმაციის გახსნის წესი და ვადები განისაზღვრება საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებით სს „თელასის“ საინფორმაციო პოლიტიკის შესახებ.

ინფორმაციის გახსნისას საზოგადოება ხელმძღვანელობს შემდეგი პრინციპებით:

- **გასახსნელი ინფორმაციის სისრულის და სარწმუნოების პრინციპი**, რომლის თანახმად, საზოგადოება ყველა დაინტერესებულ პირს აწვდის ინფორმაციას, რომელიც შეესაბამება სინამდვილეს, ამასთან, არ ერიდება საკუთარი თავის შესახებ ნეგატიური ინფორმაციის გახსნას, იმ მოცულობით, რომელიც საზოგადოების, საზოგადოების საქმიანობის შედეგების შესახებ შეძლებისდაგვარად სრული სურათის შექმნის საშუალებას იძლევა;
- **ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრინციპი**, რომლის შესაბამისად საზოგადოება, ინფორმაციის გახსნისას, იყენებს თავისი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების არხებს, რომლებიც უზრუნველყოფს აქციონერების, კრედიტორების, პოტენციური ინვესტორების და სხვა დაინტერესებულ მხარეების მიერ იმ ინფორმაციის თავისუფალ და ადვილ წვდომას;
- **ინფორმაციის დაბალანსებულობის პრინციპი**, რომელიც ნიშნავს, რომ საზოგადოების საინფორმაციო პოლიტიკა ეფუძნება ერთი მხრივ, ყველა დაინტერესებული პირისთვის საზოგადოების გამჭვირვალობის და მეორეს მხრივ, კონფიდენციალურობის გონივრულ ბალანსს, საზოგადოების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიღების აქციონერების უფლებების მაქსიმალური რეალიზაციის მიზნით, კონფიდენციალური ან ინსაიდერული ინფორმაციისთვის მიკუთვნებული ინფორმაციის დაცვის პირობით;
- **ინფორმაციის გახსნის რეგულარულობის და დროულობის პრინციპი**, რომელიც განსაზღვრავს, რომ საზოგადოება აწვდის აქციონერებს, კრედიტორებს, პოტენციურ ინვესტორებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს ინფორმაციას თავისი საქმიანობის შესახებ საქართველოს ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებით და საზოგადოების შიდა დოკუმენტებით დათქმულ ვადებში.

საზოგადოების მიერ გასახსნელი ინფორმაცია ქვეყნდება საზოგადოების ვებ-გვერდზე ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე.

ინფორმაციის გახსნაზე პასუხისმგებელია საზოგადოების აღმასრულებელი ორგანოები. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები უხსნიან საზოგადოებას ინფორმაციას თავის შესახებ, რომელიც აუცილებელია საზოგადოებისთვის ინფორმაციის გასახსნელად საქართველოს ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების და საზოგადოების საინფორმაციო პოლიტიკის შესახებ დებულების შესაბამისად.

6.2. ფინანსური ანგარიშგება

საზოგადოება აწარმოებს აღრიცხვას და ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას და ნაერთ (კონსოლიდირებულ) ანგარიშგებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად და აქვეყნებს ასეთ ანგარიშგებას საზოგადოების საიტზე.

ფინანსურ ანგარიშგებას თან ერთვის დეტალური შენიშვნები, რომლებიც ამ ანგარიშგების მიმღებს საზოგადოების საქმიანობის ფინანსური შედეგების სწორად ინტერპრეტაციის საშუალებას აძლევს. ფინანსურ ინფორმაციას ემატება საზოგადოების ხელმძღვანელობის კომენტარები და ანალიტიკური შეფასებები, ასევე, საზოგადოების აუდიტორის დასკვნა. საზოგადოება ამზადებს საზოგადოების ნაერთ (კონსოლიდირებულ) ფინანსურ ანგარიშგებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) საფუძველზე.

6.3. ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის კონტროლი

აცნობიერებს რა იმ მოვლენების დადგომის ალბათობის შემცირების საჭიროებას, რომლებიც უარყოფითად მოქმედებს საზოგადოების მერ დასახული მიზნების მიღწევაზე

და იწვევს ზარალს, მათ შორის, არასწორი მსჯელობის, ადამიანთა შეცდომების, კონტროლისგან განზრახ თავის არიდების საფუძველზე გადაწყვეტილებების მიღების მიზეზით, ასევე, აღიარებს რა აქციონერთა მაღალი დონის საჭიროებას დაცული იყოს მათი ინვესტიციები და საზოგადოების აქტივები, საზოგადოება ქმნის ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის კონტროლის სისტემას.

ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის შიდა კონტროლი ორიენტირებულია შემდეგი მიზნების მიღწევაზე:

- ფინანსური, ბუღალტრული, სტატისტიკური, მმართველობითი და სხვა ანგარიშგების სისრულისა და სარწმუნოების უზრუნველყოფა;
- საქართველოს ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების შესრულების, საზოგადოების მართვის ორგანოების გადაწყვეტილებების და კომპანიის შიდა დოკუმენტების დაცვის უზრუნველყოფა;
- საზოგადოების აქტივების დაცულობის უზრუნველყოფა;
- საზოგადოების მიერ დასახული მიზნების ყველაზე ეფექტური გზით შესრულების უზრუნველყოფა;
- საზოგადოების რესურსების ეფექტური და ეკონომიური გამოყენების უზრუნველყოფა;
- ფინანსური და საოპერაციო რისკების დროული გამოვლენის და ანალიზის უზრუნველყოფა, რომლებმაც შეიძლება არსებითი უარყოფითი (ნეგატიური) ზეგავლენა მოახდინოს საზოგადოების მიზნების მიღწევაზე, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობასთან.

საზოგადოების ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის კონტროლის სისტემა მოიცავს კონტროლის პროცედურებს, რომლებიც განისაზღვრება საქართველოს ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებით, აქციონერთა საერთო კრების და საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებებით (უშუალოდ და აუდიტის კომიტეტის მეშვეობით), აგრეთვე, ცალკეულ სტრუქტურულ ქვედანაყოფს, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს ასეთი კონტროლი.

საზოგადოებაში მოქმედი ქვედანაყოფების ფუნქციები, უფლებები და მოვალეობები, პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია საზოგადოების ორგანიზაციულ-განმკარგულებელი დოკუმენტებით.

საზოგადოების ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის კონტროლის სისტემური ხასიათის უზრუნველყოფის მიზნით, შიდა კონტროლის პროცედურების ჩატარების განხორციელება ხდება საზოგადოების უფლებამოსილი ქვედანაყოფის მიერ, რომელიც პასუხს აგებს შიდა კონტროლზე საზოგადოების სხვა ორგანოებსა და ქვედანაყოფთან ურთიერთქმედებაში.

კონკრეტული პროცედურები, ასევე ორგანოები და პირები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან შიდა კონტროლის პროცედურების განხორციელებაზე, განისაზღვრებიან საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებით საზოგადოების შიდა კონტროლის პროცედურების შესახებ.

6.4. საკუთრების სტრუქტურა

საზოგადოება უზრუნველყოფს ინფორმაციის გახსნას საზოგადოების ხმის მიმცემი აქციების ხუთი ან მეტი პროცენტის რეალური მფლობელების შესახებ. საზოგადოების მიერ

გასახსნელ ინფორმაციაში ასევე აღწერილია კორპორაციული ურთიერთობები კომპანიების ჯგუფში. საზოგადოება მიზნად ისახავს საზოგადოების სააქციო კაპიტალის სტრუქტურის გამჭვირვალობის უზრუნველყოფას.

7. დასკვნითი დებულებები

წინამდებარე კოდექსი ძალაში შედის საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მისი მოწონების მომენტიდან.